

## სუ-ის ბიუჯეტის დებულება

უნივერსიტეტის ფისკალური წელი იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს. ყოველი ფისკალური წლის დადგომამდე არაუგვიანეს 24 დეკემბრისა მტკიცდება უნივერსიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტი.

### ბიუჯეტის ფორმირება და მონაწილე პირები:

- სკოლის დირექტორი/პრორექტორი/დსპ-ს ხელმძღვანელი ამზადებს მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენენ საფინანსო სამსახურს.
- საფინანსო სამსახური, სტრუქტურული ერთეულების ბიუჯეტებზე დაყრდნობით ამზადებს უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტს.
- სუ-ის ნაერთი ბიუჯეტს რექტორი წარუდგენს პარტნიორთა კრებას დასამტკიცებლად.
- ბიუჯეტს ამტკიცებს პარტნიორთა კრება.

### ბიუჯეტის მართვა და კონტროლი

- ბიუჯეტის შესრულებაზე და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ბიუჯეტის განმკარგავი სკოლის დირექტორი, პრორექტორი, რექტორი, პრეზიდენტები.
- საფინანსო სამსახური სისტემატიურად ახდენს დანახარჯების ბიუჯეტთან შესაბამისობის მონიტორინგს.
- ყოველ კვარტალურად საფინანსო სამსახური რექტორს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების რეპორტს.

### ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცება

- ბიუჯეტის ცვლილებაზე ინიციატივას წარადგენს სკოლის დირექტორი ან/და პრორექტორი.
- საფინანსო სამსახური შეიმუშავებს ბიუჯეტის ცვლილების პროექტს.
- რექტორი წარუდგენს ცვლილების პროექტს პარტნიორთა კრებას.
- პარტნიორთა კრება ამტკიცებს ბიუჯეტის ცვლილებას.

### სუ-ის ნაერთი ბიუჯეტი

სუ-ის ნაერთი ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილებია:

- სუ-ის ცენტრალური ბიუჯეტი
- სკოლის ბიუჯეტი (სკოლის ბიუჯეტი წარმოადგენს სკოლის ცენტრალური ბიუჯეტის, სკოლაში შემავალი დეპარტამენტის ბიუჯეტის, სკოლაზე/დეპარტამენტზე მიბმული საგანმანათლებლო პროგრამის, სკოლაზე/დეპარტამენტზე მიბმული დსპ-ის ბიუჯეტების ნაერთს)
- დსპ-ის ბიუჯეტი
- სუსკი-ის ბიუჯეტი

- სუსკი-ის და სკოლის სტრუქტურის გარეთ არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის ბიუჯეტი

### **სუ-ის ცენტრალური ბიუჯეტი**

სუ-ის ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილს განსაზღვრავს:

- სკოლიდან ცენტრალურ ბიუჯეტში განხორციელებული კონტრიბუცია (კონტრიბუციის ოდენობას განსაზღვრავს პრორექტორი საფინანსო-სამეურნეო დარგში შესაბამის სკოლის დირექტორთან კონსულტაციით)
- დსკ-დან ცენტრალურ ბიუჯეტში განხორციელებული კონტრიბუცია
- პარტნიორთა/ინვესტორთა შენატანები
- დონორთა შემოწირულობა
- საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული სესხი
- უნივერსიტეტის მიერ კანონით დაშვებული სხვა კომერციული საქმიანობებიდან/ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი
- შიდა საუნივერსიტეტო (პროგრამებზე გაცემული) სესხის ამონაგები

**სუ-ის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს განსაზღვრავს:**

- ადმინისტრაციის სახელფასო ფონდი
- ადმინისტრაციის სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯი
- მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯი
- საკანცელარიო ხარჯი
- კომუნალური ხარჯი
- ლოჯისტიკური და მენთენინგის ხარჯი
- სასესხო ვალდებულებების მომსახურება
- პროექტული დაბანდებები
- შიდა საუნივერსიტეტო (პროგრამებზე გაცემული) სესხი
- სუსკი-ის დაფინანსება
- სხვა ხარჯი

### **საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი**

საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის შემოსავალით ნაწილს განსაზღვრავს:

- სტუდენტის მიერ გადასახდელი სწავლის საფასურის<sup>1</sup> პროგრამის ბიუჯეტში დარჩენილი წილი<sup>2</sup> (<sup>1</sup> - სტუდენტის მიერ გადასახდელი სწავლის საფასური დაიანგარიშება წელიწადში სტუდენტის მიერ დარეგისტრირებული ECTS-ის მიხედვით. თუ საანგარიშო წელს სტუდენტის რეგისტრაცია აღემატება 60 ECTS-ს, მის მიერ გადასახდელი სწავლის საფასური იქნება:  
პროგრამაზე დადგენილი წლიური სწავლის საფასური \* ( 1+ 1 / 60 \* (საანგარიშო წელს დარეგისტრირებული ECTS-ის რაოდენობა - 60)
- პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშებისას, შემოსავლის გაანგარიშება ხდება თითოეული ნაკადისთვის სტუდენტების რაოდენობისა და სწავლის საფასურის გათვალისწინებით (<sup>2</sup>

პროგრამის შემოსავლის ნაწილი ხმარდება პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დაფინანსებას, დანარჩენი ირიცხება იმ დეპარტამენტის/სკოლის ბიუჯეტში, რომლის პროგრამასაც წარმოადგენს.

დსპ-ის შემთხვევაში, როცა უნივერსიტეტს ეკუთვნის დსპ-ის 90%-ზე მეტი, პროგრამის შემოსავლის ნაწილი ხმარდება პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დაფინანსებას, დანარჩენი წილობრივი პროპორციით ნაწილდება დსპ-ის მესაკუთრეებს შორის. სუ-ის წილი ირიცხება იმ დეპარტამენტის/სკოლის ბიუჯეტში, რომელიც უზრუნველყოფს დსპ-ის ადმინისტრირებას, დსპ-დან დეპარტამენტის/სკოლის ბიუჯეტში განხორციელებული კონტრიბუციის სახით. დსპ-დან დეპარტამენტის/სკოლის ბიუჯეტში განხორციელებული კონტრიბუცია შესაძლოა რეინვესტირდეს სრულად ან ნაწილობრივ პროგრამაში. რეინვესტირების მოცულობას განსაზღვრავს პრორექტორი საფინანსო და სამეურნეო დარგში სკოლის დეირექტორთან და დეპარტამენტის უფროსთან კონსულტაციის შედეგად. დსპ-ის მესაკუთრეების (სუ-ის გარდა) დივიდენდიც შესაძლოა რეინვესტირდეს პროგრამაში დსპ-ის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით.

დსპ-ის შემთხვევაში, როცა უნივერსიტეტს ეკუთვნის დსპ-ის 90%-ზე ნაკლები, შემოსავლის ნაწილი ხმარდება პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დაფინანსებას, დანარჩენი პგს-ის გადაწყვეტილებით სრულად ან ნაწილობრივ რეინვესტირდება და ხმარდება პროგრამის განვითარებას ან წილობრივი პროპორციით ნაწილდება დსპ-ის მესაკუთრეებს შორის. სუ-ის წილი ირიცხება სუ-ის ცენტრალურ ბიუჯეტში, დსპ-დან ცენტრალურ ბიუჯეტში განხორციელებული კონტრიბუციის სახით).

- უნივერსიტეტის დოტაცია (თუ პროგრამის შემოსავალი არ ჰყოფნის ხარჯვითი ნაწილის დაფინანსებას, პროგრამის არსებობის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, რექტორის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროგრამა იღებს დოტაციას დეპარტამენტის / სკოლის ბიუჯეტიდან, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით ან უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან რექტორის საბჭოს გადაწყვეტილებით)

საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს განსაზღვრავს:

- პროგრამის ადმინისტრაციის სახელფასო ხარჯი
- დეპარტამენტებიდან ექსპერტიზის შემენის ხარჯი
- პროგრამის კომპონენტების განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის საათობრივი (დეპარტამენტებიდან ექსპერტიზის შემენის გარდა) ანაზღაურება
- სასწავლო ლაბორატორიის სახარჯი მასალები
- სტუდენტების სტაჟირებისთვის, კლინიკური სწავლებებისთვის და ა.შ. სხვა ორგანიზაციების მომსახურების ხარჯი
- პროგრამის საინვესტიციო ხარჯი (სასწავლო ლაბორატორიების, აუდიტორიების ბიბლიოთეკის და ა.შ მოწყობა)

- საკანცელარიო ხარჯი
- მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯი
- სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯი
- შიდა საუნივერსიტეტო სესხის მომსახურების ხარჯი
- საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის ქირა
- სხვა ხარჯი

### დეპარტამენტის ბიუჯეტი

დეპარტამენტის ბიუჯეტის შემოსავალით ნაწილს განსაზღვრავს:

- ექსპერტიზის გაყიდვა (დეპარტამენტის პროფესორ მასწავლებლების პროგრამის კომპონენტის განხორციელებისთვის პროგრამიდან დეპარტამენტში გადახდილი თანხა). დეპარტამენტის პროფესორის მიერ განხორციელებული კომპონენტიდან, სადაც დეპარტამენტის პროგრამის სტუდენტების გარდა რეგისტრირებულია სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, მიღებული შემოსავლის დეპარტამენტის წილი ტოლია:

$$\sum_{k=1}^n (E * \sqrt{F_k * f / 60} + H * P * 1/N - H * R * 1/N) / 2$$

სადაც  $k=1,2,\dots,n$  იმ სტუდენტის ინდექსია, რომელიც რეგისტრირებულია კომპონენტის გამცემი დეპარტამენტის მოცემულ ლექტორთან.

$N$  – კომპონენტზე რეგისტრირებული სტუდენტების საერთო რაოდენობა

$F_k$  –  $k$ -ური სტუდენტის წლიური სწავლის საფასური

$f$  – შესაბამისი საფეხურის პროგრამებში მოცემული დროისთვის უნივერსიტეტში არსებული მინიმალური სწავლის საფასური

$E$  – კომპონენტის კრედიტების (ECTS) რაოდენობა

$H$  – ანაზღაურებადი საკონტაქტო საათების რაოდენობა

$P$  – კომპონენტის განმახორციელებელი პირის საათობრივი ანაზღაურება (დარიცხული) თუ კომპონენტის განმახორციელებელ პირს აქვს ფიქსირებული თვიური ხელფასი, მაშინ  $P=30$

$R$  – უნივერსიტეტის მიერ დადგენილი აუდიტორიის საათობრივი შიდა გაქირავების განაკვეთი

- დეპარტამენტზე მიბმული საგანმანათლებლო პროგრამების/დსპ-ების კონტრუბუცია (დეპარტამენტზე მიბმული საგანმანათლებლო პროგრამებიდან კონტრიბუციის მოცულობას განსაზღვრავს პრორექტორი საფინანსო და სამეურნეო დარგში შესაბამისი სკოლის დირექტორთან, დეპარტამენტის უფროსთან და პროგრამის ადმინისტრაციულ დეკანთან კონსულტაციით).
- ტექნოლოგიური ტრანსფერიდან შემოსავალი
- სუსკი-ის სამეცნიერო-კვლევითი შიდა გრანტი
- გარე სამეცნიერო-კვლევითი გრანტი
- საუნივერსიტეტო პროექტული დაფინანსება
- დონორთა შემოწირულობა

დეპარტამენტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს განსაზღვრავს:

- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება
- დეპარტამენტის ადმინისტრაციის სახელფასო ფონდი
- დეპარტამენტის სამეცნიერო-აკადემიური პერსონალის სახელფასო ფონდი
- მოწვეული აკადემიური პერსონალის საათობრივი სახელფასო ანაზღაურება
- სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის (ლაბორატორიები) განვითარების ხარჯი
- სამეცნიერო კონფერენციების მოწყობის ხარჯი
- სამეცნიერო კონფერენციებზე მონაწილეობის ხარჯი
- საბიბლიოთეკო ხარჯი (მათ შორის სამეცნიერო პერიოდიკის შეძენა)
- საკანცელარიო ხარჯი
- დეპარტამენტის ბაზაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის დაფინანსება
- სხვა ხარჯი

### სკოლის ბიუჯეტი

სკოლის ბიუჯეტის შემოსავალით ნაწილს განსაზღვრავს:

- სკოლაში შემავალი დეპარტამენტების კონტრიბუცია სკოლის ბიუჯეტში
- ტექნოლოგიური ტრანსფერიდან შემოსავალი
- სუსკი-ის სამეცნიერო-კვლევითი შიდა გრანტი
- გარე სამეცნიერო-კვლევითი გრანტი
- საუნივერსიტეტო პროექტული დაფინანსება
- დონორთა შემოწირულობა

სკოლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს განსაზღვრავს:

- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება
- სკოლის ადმინისტრაციის სახელფასო ფონდი
- სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის (ლაბორატორიები) განვითარების ხარჯი
- სამეცნიერო კონფერენციების მოწყობის ხარჯი
- სამეცნიერო კონფერენციებზე მონაწილეობის ხარჯი

- საბიბლიოთეკო ხარჯი (მათ შორის სამეცნიერო პერიოდიკის შეძენა)
- საკანცელარიო ხარჯი
- სკოლის ბაზაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის დაფინანსება
- სკოლის დოტაცია სკოლის სტრუქტურაში შემავალ დეპარტამენტში
- სხვა ხარჯი

### **სუსკი-ის ბიუჯეტი**

სუსკი-ის ბიუჯეტის შემოსავალით ნაწილს განსაზღვრავს:

- უნივერსიტეტიდან დაფინანსება
- გარე სამეცნიერო-კვლევითი გრანტი
- ტექნოლოგიური ტრანსფერიდან შემოსავალი
- დონორთა შემოწირულობა

სუსკი-ის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს განსაზღვრავს:

- სუსკი-ის ადმინისტრაციის სახელფასო ფონდი
- ადმინისტრაციის სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯი
- სამეცნიერო კონფერენციების მოწყობის ხარჯი
- სამეცნიერო კონფერენციებზე მონაწილეობის ხარჯი
- სუსკი-ის სტრუქტურაში და სისტემაში (სკოლის ბაზაზე არსებული) შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსება
- სუსკი-ის შიდა სამეცნიერო საგრანტო ფონდი
- საკანცელარიო და სხვა ხარჯი

### **სუსკი-ის და სკოლის სტრუქტურის გარეთ არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის ბიუჯეტი**

სუსკი-ის და სკოლის სტრუქტურის გარეთ არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბიუჯეტის შემოსავალით ნაწილს განსაზღვრავს:

- დონორთა შემოწირულობა
- ტექნოლოგიური ტრანსფერი

სუსკი-ის და სკოლის სტრუქტურის გარეთ არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს განსაზღვრავს:

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარჯი
- სხვა ხარჯი